

ი. იმნაიშვილი

ქართული. ოთხთავის სიგუონია-ლექსიკონი

ა. შანიძის

რედაქციით

წიგნი პირველად 1949 წელს დაისტამბა. წინამდებარე ნაშრომი უცვლელი სახით იბეჭდება.

გამოცემის ვაადვილების მიზნით შემჩნეული შეცდომები იბეჭდება წიგნის ბოლოს „შეცდომების გასწორების“ სახით.

განკუთვნილია ფილოლოგებისათვის.

რედაქტორისაგან

ორიოდე სიტყვა ამ წიგნის გამოცემის მიზნისა და რაობის შესახებ.

„ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის გამოცემა ისეა წამოწყებული, რომ შიგ შემაველ ტექსტებს ყველას უნდა ერთოდეს ლექსიკონი ან, თუ ძველი მეტად მნიშვნელოვანია, სიმფონია. ამ ლექსიკონებისა და სიმფონიების ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ მტკიცე საფუძველი შეიქნეს ვრცელი ქართული ისტორიული ლექსიკონის შესადგენად. სერიის პირველ წიგნს უკვე ახლავს სიმფონია¹, მესამეს დართული აქვს ენის მიმოხილვა მოზრდილი ლექსიკონითურთ², მეორისთვის კი ეხლა გამოდის ცალკე წიგნად სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც დოცენტმა ივანე იმნაიშვილმა შეადგინა ოთხთავის ორივე რედაქციის მიხედვით³ (მისი პირველი ნაკვეთი უკვე შარშან გამოვიდა).

ვამბობთ სიმფონიაო, რადგანაც შიგ ყველა სიტყვაა შეტანილი, რომლებიც კი გვხვდება ოთხთავში: ამოკრებილია არა მარტო სრულმნიშვნელოვანი სიტყვები (სახელები, ზმნები, ზმნიზედები), არამედ აგრეთვე დამხმარებებიც (კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები) ყველა ადგილის ჩვენებით, სადაც კი ესა თუ ის სიტყვა გვხვდება⁴; დაესძინთ ლექსიკონიო, რადგანაც ახსნილია ყველა სიტყვა, რომლებიც უცნობია დღევანდელ ქართულში, ან ცნობილია, მაგრამ სხვა მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ოთხთავის ენაში.

მასალის დალაგების გამო უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სახელთა და ზმნათა ფორმები დალაგებულია არა მარტო ანბანურ რიგზე (რაც შრავალ შემთხვევაში ძალიან არეუ-დარეუდა ერთმანეთში სხვადასხვა ჯურის სიტყვებსა და ფორმებს), არამედ ასეთი სისტემით: სახელები—ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით, ზმნები კი—მწკრივთა, პირთა და რიცხვთა თანამდევრობით. მხოლოდ ასეთი წესი გვაძლევს საშუალებას, სწრაფად მოენახოთ ესა თუ ის ფორმა: იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებს შორის. რასაკვირველია, ეს მოითხოვს ელემენტარულ ცოდნას გრამატიკისას, მაგრამ რა გაეწყობა, როცა ქართულ ზმნებში ფორმათა წარმოება უმთავრესად პრეფიქსული ხასიათისაა! მართლაც, აბა რა კეჟა იქნებოდა, რომ შინაარსეულად ერთნაირი ფორმები ერთმანეთისაგან გაგვეთრშა ანბანური დალაგების გამო? ასეთ შემთხვევაში ხომ გრამატი-

¹ ხანძები ლექსიკონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია). გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. 1944.

² გიორგი მთაწმიდელი. ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა.—გ. მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით. ა. შანიძისა. 1946.

³ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. (897, 936 და 973 წწ). გამოსცა ა. შანიძემ. 1945.

⁴ გამონაკლისს შეადგენს „და“, „ხოლო“ და რამდენიმე სხვა, რაზელათიკისაუკ შეუფუგნელმა მხოლოდ რამდენიმე ადგილი დაიმოწმა.

კულად ახლოს მდგომი ფორმები ერთისა და იმავე ზმნისა სხვადასხვა ადგილას უნდა მოგვეთავსებინა მათ-მათი დასაწყისი ასოების მიხედვით! მაგ., „ვეტყოდე“ მოხვდებოდა ვ ასოზე, „გეტყოდე“—გ-ზე, „მეტყოდე“—მ-ზე, „იტყოდე“ ან „ჰეტყოდე“—ე-ზე ან ზ-ზე (შესაბამისად) და სხვა. ამიტომ ერთადერთი სწორი გადაკრა საკითხისა შეიძლება იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია აქ და რომელიც უფრო ადრე ხანმეტი ლექციონარის სიმფონიაში მქონდა გამოყენებული.

კიდევ უფრო ნაკლები გამართლება ექნებოდა, რომ ზმნის გამოსავალ ხორმად რომელიმე პირიანი ფორმა მიგველო. ქართული ლექსიკონების ავტორთა პრაქტიკის თანახმად (ს. ორბელიანისა, დ. ჩუბინაშვილისა და სხვებისა), ასეთად მიღებულია საწყისი, მაგრამ პირიანი ფორმებისთვის მოცემულია ინდექსები, საკირო შემთხვევაში კი პირთა რაოდენობაც არის ნაჩვენები. ეს მეთოდი პირველად გ. მთაწმიდლის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ლექსიკონში ვიხმარე, ოლონდ, იქ ნახმარ ინდექსებს ვარდა, აქ დამატებით ნულით შემოღებული ზმნების უნიშნო წარმოების აღსანიშნავად. ამის გამო ერთი ფუძის ზმნები, განსხვავებული გვარისა და ქტევის მიხედვით, გაფანტული კი არაა სხადასხვა ადგილას წიგნში (ვთქვათ, „ზარახავს“ ზ-ზე, „იზარახა“ ი-ზე, „ეზრახა“ ე-ზე და მისთანა), არამედ თავმოყრილი ერთად. ზმნის ფორმათა ჩვენების ისეთი ხერხი, კარგად შემოწმებული ქართული ლექსიკოგრაფიის პრაქტიკით (სულ ცოტა ორ საუკუნე-ნახევრის მანძილზე) და დიდად გაუმჯობესებული ინდექსებისა და გარკვეული რიგის შემოღებით, მარტივია სიტყვის მოსაძიებლად ლექსიკონში, რაციონალურია სიტყვის მნიშვნელობის მკაფიოდ დადგენისათვის და მეტად ეფექტიანია ადგილისა და დროის მოგების თვალსაზრისით. მისი უპირატესობა სხვა შესაძლებელ ხერხებთან შედარებით ცხადია ოთხთავის ზმნათა ფორმების მცირეოდენ მისალაზღედაც კი და კიდევ უფრო ცხადი უნდა იყოს საერთო ხასიათის ლექსიკონებში.

დიდი შრომისა და რუღუნების შედეგად ი. იმნაიშვილმა შეძლო მოეცა კარგი ცნობათა წიგნი, სადაც სრულად არის წარმოდგენილი მთელი ლექსიკური მარაგი უძველესი ეპოქის ქართული სალიტერატურო ენის კარგა მოზრდილი ძეგლისა.

ყველა პირობითი ნიშნის დაწვრილებითი ახსნა მოცემულია ავტორის წინასიტყვაობაში.

ა. შანიძე

ОТ РЕДАКТОРА

Издавая симфонию-словарь к важнейшему памятнику истории грузинского языка—к четвероглаву в древнегрузинском переводе, считаю нужным сказать несколько слов о цели и характере настоящего издания.

По замыслу, лежащему в основе издания серии „Памятники древнегрузинского языка“, тексты, входящие в эту серию, должны быть снабжены подробными словарями, а наиболее важные из них—симфониями. Главная цель этих словарей и симфоний—подготовить надежный материал для составления полного исторического словаря грузинского языка. Первый том означенной серии уже снабжен симфонией¹, третий имеет подробный словарь², а для второго тома³ ныне издается симфония-словарь отдельной книгой (Первый выпуск этой книги появился в прошлом году).

Словарь составлен доцентом И. В. Имнайшвили к обеим редакциям четвероглава и заключает в себе все слова, встречающиеся в означенном памятнике, причем учтены не только полнозначные слова (имена, глаголы, наречия), но и служебные (союзы, предлоги, частицы) с указанием всех мест, где данное слово встречается⁴. Имея, таким образом, все черты симфонии или конкорданса, книга в то же время является словарем, где, впрочем, объяснения даны только в тех случаях, когда слово совсем неизвестно в ловогрузинском, или же известно, но имеет другое значение, чем в языке четвероглава.

В отношении расположения материала надо заметить, что склоняемые и спрягаемые формы приводятся не в простом алфавитном порядке (что в некоторых частях дало бы хаотическую смесь разнородных слов и форм), а по следующей системе: склоняемые—в порядке падежей и чисел, а спрягаемые—в порядке скрив, лиц и чисел. Только такой способ дает возможность быстро найти нужную форму среди грамматически сродных форм одного и того же слова. Конечно, при

¹ Ханизмный лексикоментарий. Фототипическая репродукция. Издава и симфонией снабдил А. Шанидзе, Тбилиси, 1944 г.

² Георгий Святотгорец. Жизнь св. Иоанна и св. Евфимия. Подготовил к печати И. Джавахишвили.—Язык Георгия Святотгорца по его „Жизни св. Иоанна и св. Евфимия“ А. Шанидзе. Тбилиси, 1946.

³ Две древних редакции грузинского четвероглава по трем шатбердским рукописям (897, 936 и 973 гг.). Тбилиси, 1945.

⁴ Исключения составляют (св. „и“), (св. „но“) и несколько других, в отношении которых составитель ограничился указанием некоторых мест.

этом требуется некоторое знакомство с грамматикой, но что поделать, когда в грузинских глаголах преобладает префиксальное образование! В самом деле, было бы нелепо разобщать формы одного и того же глагола, расположив их в алфавитном порядке, ибо тогда формы, тесно связанные между собой грамматически, разошлись бы по разным местам, смотря по начальным буквам; так, напр., ვეტყუღე („я говорил ему“) пришлось бы поместить на букву ვ, ვეტყუღე („я говорил тебе“) — на ვ, მეტყუღე („ты говорил мне“) — на მ, იტყუღე resp. ჰეტყუღე („ты говорил ему“) — на ი resp. ჰ и т. п. Поэтому единственно правильным решением вопроса является то, которое дано здесь, равно как и раньше в симфонии ханмэтного лексиконария.

Еще менее имеется оснований для того, чтобы за исходную форму грузинского глагола принимать какую-либо личную форму. По примеру авторов грузинских словарей (С. Орбелани, Д. Чубинашвили и др.), за таковую принят масдар (имя действия), но для личных форм даны индексы, а в нужных случаях и указания на количество лиц. Этот метод впервые применен мной в словаре к сочинению Георгия Святогорца „Житие св. Иоанна и св. Евфимия“, но, в дополнение к индексам, фигурирующим там, здесь введен нуль для обозначения отсутствия гласного или согласного индекса. Благодаря этому, глаголы одного корня, различающиеся между собой в залоговом и версионном отношениях, не разбросаны по разным местам (напр., ზრახავს „помышляет“, на букву ზ, იზრახა „он подумал“ на ი, ა ვზრახა „он посоветовался с ним“ на ვ), а сгруппированы вместе. Этот способ расположения глагольных форм, хорошо проверенный на практике грузинской лексикографии (по меньшей мере на протяжении двух с половиной веков) и усовершенствованный мной применением индексов и установлением определенного порядка, прост в отношении пользования словарем, весьма рационален для точного определения значения слова и дает большой эффект с точки зрения экономии места и времени. Его преимущество перед всеми другими возможными способами, хорошо видное и на ограниченном числе глаголов четвероглава, еще более ясно будет видно в словарях общего характера.

В результате кропотливой и упорной работы И. В. Имнайшвили получилась хорошая справочная книга, где дан полный свод всех слов и выражений довольно крупного памятника древнейшей эпохи грузинского литературного языка.

Подробное разъяснение всех встречающихся в издаваемой книге условных знаков и обозначений дано в предисловии автора.

А. Шанидзе

წინასიტყვაობა

I. სიმფონიის მოცულობა

სიმფონიაში სიტყვები ამოწერილია ორივე რედაქციის ტექსტიდან, რომელთაგანაც ერთი წარმოდგენილია გრუპ-პარხლის (DE) ხელნაწერებში, მეორე—ადიშისაში (C)¹. DE-ს ტექსტის მასალა მთლიანადაა ამოღებული, C-ს ტექსტისა კი—მხოლოდ განსხვავებული: უკანასკნელიდან სიტყვები ამოწერილია ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს სიტყვები DE-ს შესაბამ ადგილას საზოგადოდ არ გვხვდება, ან იმავე ფორმით არ გვხვდება, ან კიდევ გვხვდება, მაგრამ სხვაგვარად აგებულ წინადადებაში. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი.

DE .

C

მრ. 6,47. და ვითარცა შემწუხრდა, იყო კუალად ნაფი იგი შუვა ოდენ ზლუასა მას, და იგი თავადი მარტო იყო ქუეყანასა.

და ვითარ შემწუხრდა, იყო ნაფი საშოვალ ზლუასა, და იგი ხოლო მარტო იყო ქუეყანასა ზედა.

6,48. და იხილნა იგინი, რამეთუ იურგოდეს სლვასა მას ნაფისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით მათსა.

და იხილნა იგინი საარებულნი დელვისა მისგან ნაფისა, რამეთუ ქარი წინაუკუმო იყო.

ამ შემთხვევაში C-დან არ არის ამოსაწერი „შემწუხრდა“, „იყო ნაფი“, „იგი“, „მარტო იყო“ (6,47), „იხილნა იგინი“, „რამეთუ“, „იყო“ (6,48). ყველა ეს სიტყვა დაახლოებით ამავე ფრაზაში მოიპოვება DE-შიც. სამაგიეროდ C-დან ამოსაწერია „ზლუასა“, რადგან DE-ში ეს სიტყვა ნაწევრით არის წარმოდგენილი: „ზლუასა მას“; ასევე ითქმის „ქარისა“ და „ნაფის“ შესახებაც: „ქუეყანასა“ იმიტომ უნდა ამოვიწეროთ, რომ მას აქ თანდებული ახლავს: „ქუეყანასა ზედა“, ხოლო DE-ში უთანდებულად არის მოცემული. რაც შეეხება დანარჩენ სიტყვებს, ისინი იმიტომ უნდა იქნენ ამოწერილი, რომ ზოგი

¹ ამათგან პირველი რედაქციის ტექსტი ცნობილია პროტოკულატის სახელით (ა. შ ა-ნ ი მ ვ, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, წინასიტყვაობა, 1945, გვ. 08). ამ ჯგუფის ხელნაწერებს ეკუთვნის აგრეთვე 913 წელს ოპიხას გადაწერილი და ამჟამად ათონზე დაცული ხელნაწერი. ამ რედაქციას ოპიხ უ რ ი რ ე-დაქცია ეწოდება (ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 28, 30—31; გრუპისა და პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის პუშკინის სახ. თბილ. სახელ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1947).

მათგანი C-ში სხვა ფორმით არის გადმოცემული, ვიდრე DE-ში, მაგალითად: ვითარცა DE—ვითარცა C, ზუვა DE—საშოვალ C, ნავისასა DE—ნავისა C, ხოლო ზოგის ეკვივალენტად DE-ში სრულიად სხვა სიტყვებია, მაგალითად: და DE—ხოლო C, რამეთუ იურფოდეს DE—საარებულნი C, სლვასა მას (ნავისასა) DE—ლელებისა მისგან (ნავისა) C, პირით მათსა DE—წინაუკუშო C.

DE-დან ამოწერილია ყველა სიტყვა. გამონაკლისი დაშვებულია შემდეგს შემთხვევებში: არ არის ამოწერილი და სიმფონიაში შეტანილი ყველა შემთხვევა შემდეგი კავშირებისა: „და“, „ვითარმედ“, „რაჲთა“, „ხოლო“. არ არის შეტანილი არც კავშირი „რამეთუ“, როცა იგი დღევანდელი ქართულით „რომ“-ს აღნიშნავს. არ არის შეტანილი ავრეთვე განსაზღვრული ნაწევარი „ესე“, „ეგე“, „იგი“. ეს ნაწევრები სათანადო სახელებთანაა სრულად წარმოდგენილი, ცალკე კი მათ მნიშვნელობა არ აქვთ. ჩამოთვლილი სიტყვებიდან, როცა უკანასკნელთ ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვთ, სიმფონიაში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა სანიმუშოდ¹. სხვა მნიშვნელობით კი ზემოთ აღნიშნული ყველა 8 სიტყვა უკლებლივ არის ამოწერილი და სიმფონიაში ნაჩვენები.

დანარჩენი სიტყვები, როგორც აღვნიშნეთ, გამოუკლებლივ არის ამოწერილი და შემოტანილი სიმფონიაში: ნაჩვენებია ყველა არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული, ნაწილაკი კი. მოკლედ, წიგნში შემოტანილია ყველა სიტყვა, რაც კი მოიპოვება ოთხთავში, და ნაჩვენებია იმდენჯერ, რამდენჯერაც გვხვდება. D-სა და E-ს ყველა მნიშვნელოვანი ვარიანტიც წარმოდგენილია უკლებლივ.

II. ამოწერის პრინციპები

1. ტექსტიდან სიტყვა ამოწერილია, როგორც წესი, ფრაზაში. ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფრაზა არსებითთან, ზმნასთან, ზმნიზედასთან, კავშირთან, შორისდებულსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაცვალსახელთანაც, რაც შეიძლება, სრულად არის წარმოდგენილი. ზედსართავი, რიცხვითი, თანდებული და ნაწილაკი მხოლოდ იმ სიტყვასთან არის ამოღებული, რომელსაც ახლავს: პირველი სამისათვის ასეთი სიტყვა არს. სახელია, მეოთხისათვის—თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი მეტ-ნაკლებად. გამონაკლისი დაშვებულია უმთავრესად ზედსართავის მიმართ (იშვიათად სხვების მიმართაც) ასეთ შემთხვევებში აქაც მთელი ფრაზაა მოცემული. ეს გარემოება აიხსნება ამ სიტყვათა განსაკუთრებული მნიშვნელობით მოცემულ შემთხვევაში.

2. რთული წინადადება უმეტეს შემთხვევაში დაშლილია მარტივ წინადადებად და მაგალითი ამ უკანასკნელთაგან არის ამოღებული, მაგალითად:

¹ ეს გამონაკლისები დაშვებულია იმის გამო, რომ აღნიშნული სიტყვები ძალიან ხშირად იხმარება ჩვენს ტექსტში, მათი შემოტანა წიგნში ერთობ გაზრდიდა მას, სარგებელიც ნაკლები იქნებოდა.

„დედანი, რომელნი მოსდევდეს გალილეათ, ჰხედვიდეს ამას“ (ლ. 23,49) ასეა დაშლილი: „დედანი... ჰხედვიდეს ამას“ და „რომელნი მოსდევდეს გალილეათ“.

3. გამოტოვებული სიტყვა ან სიტყვები სამწერტილითაა აღნიშნული.

4. ამოწერისას სიტყვათა რიგს ყურადღება არ ექცეოდა: ერთი და იგივე სიტყვიერი მასალა, რიგით განსხვავებული, ცალ-ცალკე არ ამოგვიწერია, მაგ.: „რომელსა ზედა დაშენებულ იყო ქალაქი იგი მათი“ DE—„რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“ C (ლ. 4,29). ამნაირი მასალა, სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული, ერთადაა ნაჩვენები, მაგ.: „არა მარტოა ვარ“, ი. მ. 16; 16,32, თუმცა მეორე ადგილას ასე იკითხება: „არა ვარ მე მარტოა“. აქ, გარდა იმისა, ანგარიში არ აქვს გაწეული აგრეთვე დამზნარ სიტყვების მეტ-ნაკლებობას: მეორე ფრაზაში მეტია „მე“. მაგარად ეს „მე“ აქ არ ცვლის ფრაზის აზრს, ის პირველშიც იგულისხმება.

5. როცა წინადადება ერთი მუხლიდან მეორეშია გადატანილი და ამოსაწერი სიტყვა ახალ მუხლშია მოხვედრილი, მოყვანილია მთელი წინადადება, მაგრამ დამოწმებულია ის მუხლი, რომლიდანაც ამოღებულია გასარჩევი სიტყვა, მაგ.: „ტიროდა მას ზედა და იტყოდა“, ლ. 19,42. ეს ნიშნავს: „იტყოდა“ 42-ე მუხლშია, და ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ ფრაზის დასაწყისი („ტიროდა მას ზედა“) წინა მუხლში იკითხება.

6. ორი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიციები ერთადაა წარმოდგენილი. ისინი დალაგებულია პირველი სიტყვის ასოების მიხედვით, ხოლო მეორე სიტყვისათან მითითებულია კომპოზიტის I ნაწილი, მაგ., „მღდელთ შოძლუარი“ შეტანილია მღდელ სიტყვის ასოების რიგზე, ხოლო „მოძლუართან“ მითითებულია: ნ. (=ნახე) „მღდელთ მოძლუარი“-ი. აი ზოგიერთი ასეთ კომპოზიტთაგანი: გულის ზრახვა, გულის თქუმა, გულის სიტყუა, გულის წყრომა, ეზოას მოძლუარი, ერისა კაცი, ვეცხლის მოყუარე, თავით თვისით, თესლის მოფარდული, კერმის მცვალებელი, მზის აღმოსავალი, მზის დასავალი, მშვდობის მოქმედი, პურისა უფალი, პურის ქამა, სამეუფოასა კაცი, სასყიდლით დადგინებული, სახლისა უფალი, სიტყუს ადგინება, სიტყუს განგება, სიტყუს გამოძიება, სიტყუს გება, ფასის საცავე, ქველის მოქმედი, ქვისა დაკრება, ქუეყანის მოქმედი, ყოველთა სადგური, შჯულის მღებელი, შჯულის მეცნიერი, შჯულის მოძლუარი, ძვრის მოქმედი, ძვრის საქმე, წყლით რლუნად და ბევრი სხვა.

7. ტირე (—) უჩვენებს სიტყვის ფუძის ნაწილს, რომელიც ფრჩხილებში წარმოდგენილ ნაწილს ფუძისას უსწრებს წინ, მაგ.: „გულისჯმაყუნა (—ხმ. E)“ ნიშნავს: E-ში სწერია: „გულისხმაყუნა“; „სარწმუნოებთა (—ოვ. DE)“ ნიშნავს: DE-ში იკითხება: „სარწმუნოებთა“.

8. მინუსით (—) აღნიშნულია, რომ რომელსამე რედაქციაში (ან ხელნაწერში) არ მოიპოვება თანდებული, ნაწევარი თუ ნაწილაკი. მაგალითად:

ა) „შევიდა სახლსა მას შინა (—C)“ ნიშნავს: თანდებული „შინა“ არ მოიპოვება C-ში.

ბ) „ვის ვამსგავსნე კაცნი ესე (—CE) ამის ნათესავისანი“ (ლ. 7,31) ნიშნავს : ნაწევარი „ესე“ მხოლოდ D-ში მოიპოვება, ის არ არის CE-ში.

გ) „კაცსა-ლა (—DE)“ ნიშნავს : „ლა“ ნაწილაკი არ არის არც D-ში და არც E-ში, ის მხოლოდ C-შია.

9. როცა მინუსი (—) ისეთ სიტყვას ახლავს, რომელსაც ორი ნაწილაკი ერთვის ერთად (ან ერთი ნაწილაკი და მეორე ნაწევარი, ან, პირიქით : ერთი ნაწევარი და მეორე ნაწილაკი), ეს მინუსი უკანასკნელს ეხება, მაგ. : „რომელმანცა-იგი (—C) ჰხადა მას“ (ლ. 7,39) ნიშნავს : C აკლებს „იგი“ ნაწილაკს [უკანასკნელად (მინუსის წინ) აქ „იგი“-ა], მაგრამ მას (C-ს) აქვს „ცა“ ნაწილაკი, ე. ი. C-ში იკითხება : „რომელმანცა ხადა მას“ („ხადა“ „ჰხადა“-ს ნაცვლად აქ არ აღინიშნება).

10. როდესაც მინუსიანი ადგილი ორჯერ ან სამჯერაა დამოწმებული, მინუსი ჩუქულბრივ პირველ დამოწმებას ეხება, მეორე და მესამე დამოწმებას შეიძლება ეხებოდეს და შეიძლება არც ეხებოდეს, მაგ. : „ესე არს, რომლისათჳს-იგი (—C) ვთქუ“ (ი. 1, 15, 30) ნიშნავს : ნაწილაკი „იგი“ არ მოიპოვება C-ში მხოლოდ პირველ დამოწმებულ ადგილას (ი. 1,15), მეორე ადგილას (ი. 1,30) იგი ამ შემთხვევაში მოიპოვება. ამ უკანასკნელ ადგილასაც რომ არ ყოფილიყო ეს „იგი“, აღნიშვნა მაინც ისეთივე იქნებოდა. მეორე მაგალითი : „რომელთა-იგი (—C) ჰამეს“ (მ. 14,21; მრ. ი. 8,9; ი. 6,13). ამ სამი დამოწმებული ადგილიდან „იგი“ ნაწილაკი C-ს აკლია მხოლოდ პირველში (მ. 14, 21), მაგრამ იგი არის ორ დანარჩენში (მრ. 8,9; ი. 6,13).

11. პლუსით (+) აღნიშნულია, რომ სათანადო ხელნაწერში ემატება, რაც ამ ნიშანს მოსდევს (თანდებული, ნაწევარი, ნაწილაკი), მაგ. : „აღესრულნეს ღღენი (+იგი E)“, ლ. 2,21 ამის ნიშნავს : E-ში „ღღენი იგი“ ყოფილა, ხოლო D-ში—„ღღენი“. იგივე ითქმის თანდებულიანი და ნაწილაკიანი მაგალითების შესახებაც.

12. როდესაც C-ს დამოწმებას ფრჩხილებში კიდევ აქვს C, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრჩხილებში მოცემულია ხელნაწერის ფორმა, რომელიც ნაბეჭდში შესწორებულია, მაგ. : „გარდამოჯდა წჳჳაჲ (წუჳაჲ C)“, მ. 7,25 C ნიშნავს : ხელნაწერის „წუჳაჲ“ გამოცემაში წჳჳად არის შესწორებული.

13. როდესაც ფრჩხილებში მოქცეულია სიტყვა (ნაწევარი, თანდებული, ნაწილაკი), მაგრამ არ არის არც მინუსი და არც პლუსი ნიშანი, ეს ნიშნავს, რომ ამ სიტყვით სათანადო ხელნაწერში შეცვლილია მის წინ მდგომი სიტყვა, მაგ. : „იყო კაცი ესე (იგი C) მართალი“, ლ. 2,25 ნიშნავს : „კაცი ესე“ DE-ში იკითხება, ხოლო C-შია „კაცი იგი“.

14. ერთი და იმავე ადგილის ერთი და იგივე სიტყვა, ერთ ხელნაწერში არსებითად გაგებული, ხოლო მეორეში—ზედსართავად, ამოწერილია ცალ-ცალკე, მაგ. : „ცოდვლისა კაცისა თანა შევიდა დადგრომად“, ლ. 19,7 DE და : „ცოდვლისა თანა შევიდა დადგრომად“, იქვე C : პირველ შემთხვევაში ცოდვლისა ზედსართავად არის გაგებული (ცოდვლისა კაცისა თანა), მეორეში არსებითად (ცოდვლისა თანა შევიდა). ეს წესი ბოლომდეა გატარებული.

III. დალაგების პრინციპები

1. სიტყვები დალაგებულია ფუძეთა მიხედვით.
2. პრეფიქსებით ნაწარმოები სიტყვები თავისი ასოების რიგზეა დაწყობილი, მარტივი ფუძე კი ნაჩვენებია და მითითებულია, თუ რა სიტყვაა მისგან ნაწარმოები ოთხთავში, მაგ.:
 ზერ ნ. დაბერება.
 ზურ ნ. გეზურე, საზურე.
 კეც ნ. მეკეცე.
 შილ ნ. მემტილე.
 ტყორც ნ. სატყორცებელ.
 ხილვა ნ. აღხილვა, გემოას-ხილვა, თუთ-მხილველ, მიმოდახილვა, მიმოხილვა, მიხილვა, მოხილვა, შეხილვა.
 ზოგი ამ მარტივ ფუძეთაგანი გვხვდება ტექსტში (ბერ-ი, ზურ-ი, მტილ-ი, ხილვა), ხოლო ზოგიც—არა (კეც, ტყორც).
3. განმეორებული ფორმები დალაგებულია ოთხთავის რიგის მიხედვით.
4. მსგავსი ადგილების ჩვენებისას ერთად ეუყრით თავს ისეთ ფრაზებს, რომელნიც ხაფხებით ერთნაირი არაა: ერთ-ერთ წევრს აკლია ერთი სიტყვა (ხან ორიც), უფრო ხშირად ნაწევარი, ნაწილაკი, ან სიტყვათა წყობა შებრუნებულია და სხ., მაგრამ, რაც მთავარია, ხაფხებით ერთი სახითაა წარმოდგენილი გამოხატანი სიტყვა, მაგ., „გამოსხრულ“-ის ჩვენებისას მოგვყავს ფრაზა: „ვი არცა ავახაკა ზედა გამოსხრულ ხართ ... შეპყრობად ჩემდა“, მ. 26,55 C; მრ. 14,48 C; ლ. 22,52. ყველა აქ მოყვანილი სიტყვა სწორედ ასე იკითხება სიტყვა და მარკოზის თავებში, ხოლო ლუკას თავში ორი უკანასკნელი სიტყვა („შეპყრობად ჩემდა“), რომელიც აქ აზრის სისრულისათვისაა მოყვანილი, არ მოიპოვება, და მაინც დაეიმოწმეთ ლუკაც, რადგანაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო სიტყვა „გამოსხრულ“ აქაც ისეთ საერთო ფრაზაშია, როგორც პირველ ორ მახარებელთან (შდრ. კიდეც მ. 27,40,42 და მრ. 15,30. მ. 26,11; მრ. 14,7 და ი. 12,8 C. მ. 23,7 და ლ. 13,34).
5. ადგილის მოგების მიზნით ერთადაა ნაჩვენები რამდენიმე ისეთი პასაჟი, რომელთაგან გამოსატანი სიტყვა ერთში 2-ჯერ ან 3-ჯერ გვხვდება, ხოლო სხვებში ერთჯერ ან 2-ჯერ, მაგ.: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა იგი აქუნდეს, მოვეელოს მისგან, მ. 13,12; 25,29; მრ. 4,25; ლ. 8,18; 19,26. ამ ხუთი დამოწმებული ადგილიდან სამივე ხაზგასმული სიტყვა მხოლოდ 4-შია, ერთში (ლ. 8,18) მხოლოდ ორია (აკლია „რომელსა იგი აქუნდეს“). ამის მეორე მაგალითი იქნება: „განირთხ ჰელი შენი! და მან განირთხა ჰელი, მ. 12,13; მრ. 3,5; ლ. 6,10. ამ სამი ადგილიდან ხაზგასმული სიტყვა (ჰელი) 2-ჯერ პირველ ორშია წარმოდგენილი, მესამეში კი მხოლოდ ერთჯერ იკითხება („განირთხ ჰელი შენი“).
6. ზემორე აღნიშნული ადგილების ჩვენებისას მთელი ხიზუხტით მხოლოდ პირველი ადგილია ნაჩვენები, სხვებში ხვდა სიტყვების მიზართ შეიძლება.

ცოტაოდენი ცვლილება იყოს შერტანილი, მაგრამ აქ მათ არ უჭერენებთ. ასე, მაგ., ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ პირველ მაგალითში სწერია „განირობხ“, ხოლო ორ დანარჩენში — „განირობჲ“, მაგრამ „ქელ“ სიტყვისათვის ამ სხვაობის ზუსტად აღნუსხვას არ აქვს მნიშვნელობა და ჩვენც არ გვიჩვენებია.

7. როდესაც ტექსტში გვხვდება ერთნაირი შინაარსის ადგილები, რომლებიც ფორმით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი მონახვის გაადვილების მიზნით ესენიც ერთადაა თავმოყრილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ყველა ასეთი ადგილი თავიანთი ფრაზებითაა მოცემული.

8. როდესაც ერთი და იგივე სიტყვა ოთხთავში რამდენიმეჯერ გვხვდება, დალაგებისას იგი პირველად (ხან შეორედაც) სრულად არის წარმოდგენილი. ხოლო შემდეგ მხოლოდ ინიციალით, მაგ.: „განირობჲ ჳელი შენი! და მან განირობა ჳ.“ წიგნის ახალ გვერდზე გადასვლისას ეს სიტყვა პირველად ისევ მთლიანად არის მოცემული.

9. ხანდახან შემოკლებულია ასახსნელ სიტყვასთან ერთად მასთან მკიდროდ დაკავშირებული და ადვილად მისახვედრი სიტყვაც (თანდ., განსაზღვრება და სხ.), მაგ.: მას ჟაშხა შინა = მას შ. შ.; ღმრთესა მიერ = ღ. შ.; გჳსასა ჳედა = გ. ჳ.; ქუეყანახა ჳედა = ქ. ჳ.; სახუფეველი ცათაჲ = ს. ც. და სხ.

10. ინიციალის ჩვენებით დაგვეყოფილდით აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როცა ეს პირველი ასო ზმნის პირის ნიშანი, ან პირის ნიშნის პირველი ნაწილი იყო, მაგ.: ხთხოვა = ხ., ჰხოვა = ჰ., ჳეთხა = ჰ.

11. დეფისით გაყოფილი კომპოზიტებიც პირველი ასოთია შემოკლებული: თაყუანახ-სცეს = თ., ღაღად-ყო = ღ., მამა-ღედა = მ.

12. ორ ცალ-ცალკე სიტყვად დაწერილი კომპოზიტი შემოკლებულია ორივე სიტყვის ინიციალებით: ძკრახ ჰაქმე = ძ. ხ., გულის ხიტუა = გ. ხ., მღღელთ შოძღუაი = შ. მ.

13. ახალი სიტყვა იწყება აბზაციტ, აბზაციტვე იწყება ხანდახან ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვა ფორმა. ორივე შემთხვევაში სიტყვა შავად არის დაბეჭდილი. განსხვავება მიიწაა მათ შორის: ა) ახალი სიტყვა ყოველთვის აბზაციის თავშია, სხვა ფორმა კი შეიძლება თავშიც იყოს, ფრაზის შუაშიც, ბოლოშიც; ბ) ახალი სიტყვის შემდეგ მუდამ ორწერტილია, სხვა ფორმის შემდეგ კი ან არავითარი ნიშანი არაა, ან ის ნიშანია, რაც საჭიროა საერთო წესით.

14. იმ შემთხვევაში, როცა სახელს ან ზმნას (იშვითათაღ სხვა მეტყველების ნაწილსაც) ბევრი ფორმა აქვს, დალაგებისას ცალკეული ფორმები ონ მსგავს ფორმითა გჯუფები გამოყოფილია აბზაცებით, წინააღმდეგ შემთხვევაში — არა.

ცალ-ცალკე უნდა შეგჩერდეთ სხვადასხვა მეტყველების ნაწილზე.

A. არსებითი სახელები

1. არსებით სახელთა სხვადასხვა ბრუნვის ფორმები დალაგებულია ბ რ უ ნ ე ბ ი ს (და არა ასოთა რიგის) მიხედვით: წრფ., სახ., მოთხ., მიც.

1. ეს წესი, სამწუხაროდ, მხოლოდ 290 გვერდიდან არის გატარებული.

ნათ., მოქმ., ვით., წოდ. ჯერ მოკუმულია მხოლოდითი რიცხვი, შემდეგ—პრაველობითი. პრაველობითში ჯერ ებ-იანი პრაველობითი (ყველა ბრუნვაში), შემდეგ ნარ-თანინი. ნიმუში:

	I	II	III
წრფ.	კაც	კაცებ	—
სახ.	კაცი	კაცები	კაცი
მოთხ.	კაცმან	კაცებმან	კაცთა
მიც.	კაცსა	კაცებსა	"
ნათ.	კაცისა	კაცებისა	"
მოქმ.	კაცითა	კაცებითა	"
ვით.	კაცად	კაცებად	"
წოდ.	კაცო	კაცებო	კაცნო

ეს წესი არაა დაცული მხოლოდ მაშინ, როცა ერთ წინადადებაში ორი მეზობელი ბრუნვაა მოკუმული, მაგრამ ისე, რომ პირველად შეხვედრილი სახელის ბრუნვა, წესის მიხედვით, შეორედ უნდა იყოს, და პირიქით, თანაც ამ სახელზე სხვა მაგალითები ან სულ არაა, ან არის, მაგრამ ძალიან ცოტა და ამიტომ არ ღირს სულ რაღაც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მისი განმეორება, მაგ.: „ვერ კელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა [ნათ.] გამოღებად, არკა ხესა ხენეშა [მიც.] ნაყოფისა კეთილისა გამოღებად“, მ. 7,18. დავსძენთ აქვე, რომ ეს სიტყვები ამ ბრუნვებში ოთხთავში სხვაგან აღარ გვხვდება. მეორე მაგალითი: „იყავ კეთილად მცნობელ წინამოხაჯულისაგან [ნათ.] შენისა აღრე... ნუტუეე მიგკეს შენ წინამოხაჯულმან მან [მოთხ.] შენმან მსაჯულსა“, მ. 5,25. ამის შემდეგ აღნიშნული სახელის მხოლოდ ერთი მაგალითია მთელ ოთხთავში (წინამოხაჯულისაგან, ლ. 18,3).

2. თვითველ რიცხვში ჯერ მიდის ლიტონი სახელი: უნაწევრო, უთანდებულო და უნაწილაკო, შემდეგ—ნაწევრიანი (ნაწევრებში ჯერ „ესე“, შემდეგ „ეგე“, ბოლოს „იგი“), მაგ.:

	I	II	III
სახ.	კაცი ესე	კაცი ეგე	კაცი იგი
მოთხ.	კაცმან ამან	კაცმან მაგან	კაცმან მან
მიც.	კაცსა ამას	კაცსა მაგას	კაცსა მას
ნათ.	კაცისა ამის	კაცისა მაგის	კაცისა მის
მოქმ.	კაცითა ამით	კაცითა მაგით	კაცითა მით

3. ამას მიჰყვება თანდებულიანი სახელები. თანდებულები ბრუნვათა მიხედვითაა განაწილებული, ხოლო ერთი ბრუნვის თანდებულები—თანდებულთა ასოების რიგის მიხედვით, მაგ.:

კაცსა ზელა
კაცისაგან
კაცისა თანა

კაციასათჳს
 კაციასა მიერ
 კაციასა მიმართ
 კაციასა წინაშე და სხ.

როდესაც თანდებული ერთვის არა ჟღერაოდ არსებითს, არამედ მასთან მდგომ განსაზღვრებას, ასეთი შემთხვევები წინაა გაშვებული, მაგ. :

ჯერ: ასულისა მისისაგან
 შერმე: ასულისაგან.

4. ამის შემდეგ მოცემულია ნაწვერიან-თანდებულისანი სახელები, მაგ.:

კაციასა ამისგან
 კაციასა ამის თანა და სხ.

5. ბოლოს შიდის ნაწილაკიანი სახელები: ჯერ ერთი რომელიმე ნაწილაკი ყველა ბრუნვაში, შემდეგ სხვები ამგვარადვე. ნაწილაკიანი სახელებიც ნაწილაკთა ასოების რიგზე დაწყობილი, მაგ. :

კაცივე
 კაცმანვე
 კაცსავე და სხ.
 კაცი-ლო
 კაცმან-ლა
 კაცსა-ლა და სხ.
 კაციცა
 კაცმანცა
 კაცსაცა და ი. შ.

6. წიგნში ჯერ მოცემულია სახელთა ცალმაგი ბრუნება. ამას მიჰყვება ორმაგი ბრუნება.

ა) პირველად დაწყობილია მხ. რიცხვის ნათესაობითზე დაყრდნობილი ბრუნვები, მაგ. :

	მხ. რ.	მრ. რ.
წრფ.	კაცი(ა)	—
სახ.	კაცისაჲ	კაცისანი
მოთხ.	კაცისამან	კაცისათა
მიც.	კაციასა	"
ნათ.	კაცისაჲსი	"
მოქმ.	კაცისაჲთა	"
ვით.	კაციასა	"
წოდ.	კაციასაო	კაცისანო

ბ) ამას მისდევს შრ. რიცხვის ნათესაობითზე დაფუძნებული ბრუნვები, მაგ.:

	მხ. რ.	შრ. რ.
წრფ.	კაცთა	—
სახ.	კაცთად	კაცთანი
მოთხ.	კაცთამან	კაცთამან
მიც.	კაცთასა	კაცთასა
ნათ.	კაცთაჲსა	კაცთაჲსა
მოქმ.	კაცთაჲთა	კაცთაჲთა
ვით.	კაცთა	კაცთა
წოდ	კაცთაო	კაცთანო

გ) შემდეგ მიდის თანდებულის საშუალებით წარმოქმნილი სახელები:

ა)

მხ. რ.	შრ. რ.
კაცისაგანი	კაცისაგანნი
კაცისაგანმან	კაცისაგანთა
კაცისაგანსა	"

ბ)

შრ. რ.	მხ. რ.
კაცთაგანი	კაცთაგანნი
კაცთაგანმან	კაცთაგანთა
კაცთაგანსა	"

დ) უკანასკნელად მიდის თანდებულის საშუალებით წარმოქმნილი ნაწევ-
რიანი სახელები:

ა)

მხ. რ.	შრ. რ.
კაცისა ამისგანი	კაცისა ამისგანნი
კაცისა ამისგანმან	კაცისა ამისგანთა
კაცისა ამისგანსა	"

ბ)

მხ. რ.	შრ. რ.
კაცთა ამათგანი	კაცთა ამათგანნი
კაცთა ამათგანმან	კაცთა ამათგანთა
კაცთა ამათგანსა	"

7. სამზავი ბრუნების სახელები სულ ბოლოსაა მოქცეული. მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ ამნაირი შემთხვევა ძალიან მცირეა, ის მხოლოდ ზოგიერთ სახელთან გვხვდება. მაგალითი :

ზეცათაჲსაჲ
ზეცათაჲსაჲმან
ზეცათაჲსასა

8. თანაინი მრავლობითის ფორმებს უფრო ხშირად არ აქვს მითითებული, თუ რომელი ბრუნვისაა ისინი, მაგრამ დალაგებული კი არის მკაცრი რიგით: ჯერ მთხრობითის ფორმებია მოცემული, შემდეგ მიცემითისა და ა. შ.

9. სახელი გიმორტანილი ფუძის სახით მაშინაც, როცა ამ ფორმით (წრფ. ბრ.) ეს სახელი ოთხთავში არ გვხვდება, მაგ.:

მაგ.: „პირი ცისაჲ იცით გამოცნობად“.

10. მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჯერ ისეთი ფორმებია მოყვანილი, რომელთაც ემფატიკური ან მოეპოვებათ, შემდეგ—ანიანები, მაგ.:

ჯერ: ცისკარს, კეთილის, პირით

მერმე: ცისკარსა, კეთილსა, პირითა

11. როცა ე-ზე ფუძეგათავებული სახელი სახელობითს ბრუნვაში ერთ-ერთ ხელნაწერში ე-ნით არის წარმოდგენილი, ის, როგორც შესაძლებელი ფორმა, ნაჩვენებია ყოველთვის (ფრჩხილებში), მაგ.: „ერთი მეზუერმ (მ—ე CD)“, ლ. 18, 10. შემდეგში ეს „მეზუერე“ ცალკე აღარაა შეტანილი. ორივე (ზოგჯერ სამივე) ხელნაწერის „მეზუერე იგ“ კი (ერთი და იმავე ადგილისა) ცალკეა ნაჩვენები, როგორც სახელობითის ფორმა. მაგრამ როცა ამნაირი სახელი წარმოდგენილია ბრუნვაში ე-რით (ე. ი. მერვე ე-ნით) არის გადმოცემული, ეს, როგორც შეუძლებელი ფორმა, არსად არაა ნაჩვენები, მაგ.: „არა ვარ მტაცებელ, ცრუ მმჩრუშე“, ლ. 18, 11. E-ში ხაზგასმული სიტყვა ამ სახითაა მოყვანილი: მმჩრუშე. მაგრამ აქ მ არ გამოითქმის როგორც „ეჲ“, არამედ როგორც „ე“, ის აქ მხოლოდ გრაფიკული ვარიანტია ე-ნისა (ისე რომ არ იყოს, გვექნებოდა: მტაცებელი, ცრუა და არა: მტაცებელ, ცრუ).

12. ორმაგი ბრუნების სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმები, რომლებიც ცალმაგი ბრუნების ნათესაობითს ემთხვევა, თავისი ბრუნების სისტემაშია შეტანილი, მაგალითად, „ძედ ღმრთისა“ უნდა მოიქცენოს არა ამ რიგში: „ღმერთ, ღმერთი, ღმერთმან, ღმერთსა, ღმრთისა, ღმრთითა, ღმრთად, ღმერთო“, არამედ ამაში: ღმრთის (ა), ღმრთისაჲ, ღმრთისამან, ღმრთისასა, ღმრთისაჲთა, ღმრთისაჲ, ღმრთისაჲო“.

13. ნაწევრბრუნვის სახელები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (გვ. 015), ჯერ უნაწევრო სახელები მიდის, შემდეგ—ნაწევრიანები. აქ დამატებით უნდა შევნიშნათ შემდეგი: ა) როდესაც ორ სახელს ერთი ნაწევარი ახლავს, პირველი გაშვებულია ის სახელი, რომელსაც უშუალოდ ახლავს ეს ნაწევარი, შემდეგ—მეორე, მაგ.: „იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისევლთა განზრახვად ბოროტისა“, ლ. 11, 53. აქ „მათ“ ორივე სახელს ეკუთვნის (ზღრ. ბერძნ. ჯე-

განვიხილოთ ორივე მხარის განცხადება, სომხ. და სპარსულ რედაქციასთან დაკავშირებით, ამიტომ „ფარისეველთა“-ც ნაწევრიან სახელებშია შეტანილი, მაგრამ ისე კი, რომ ის მოქცეულია იმ სახელთა შემდეგ, რომელთაც უშუალოდ ახლავთ ნაწევარი.

ბ) ამ წესითაა დალაგებული აგრეთვე თანდებულიანი ბრუნვებიც, მაგ., მდღელთ მოძღუართაგან და ფარისეველთა.

გ) ნაწევარ-ნაკლულ და ნაწევარ-მეტ სახელთა შესახებ ნ. ზემოთ (II, 8,9,10,11,13) [გვ. 012].

დ) თავისებური მდგომარეობაა მაშინ, როცა ერთი სახელი უნაწევროდაა მოცემული, ხოლო მეორეს ახლავს ნაწევარი და წინ დასმული განსაზღვრება, მაგ.: „ჯუარი თჯი“, ი. 19,17 DE და „თჯი იგი ჯუარი“, იქვე C. სად უნდა დაემატოს ეს „იგი“ პირველ ფორმას? თავისი წყობის მიხედვით ბოლოში: „ჯუარი იგი თჯი“, რადგანაც განსაზღვრება („თჯი“) მას ბოლოში აქვს, მაგრამ ეს „იგი“ ტექსტში მოცემულ სახელს წინ უძღვის, მეორე წინადადების წყობის მიხედვით ნაწევარი სიხელს წინ უნდა დაერთოს, რადგანაც განსაზღვრება ამ წინადადებაში წინ მიუძღვის სახელს („თჯი იგი ჯუარი“), მაგრამ ამ შემთხვევაში DE-ს სიტყვების ასე განლაგება (იგი ჯუარი თჯი) შეუფერებელი იქნებოდა ძველი ქართლის ბუნებისათვის. ამიტომ ასეთი სახელები (ნაწევრიანი და უნაწევრო) ცალ-ცალკეა ამოწერილი და დალაგებული.

ე) იშვიათად ერთ სახელს ორი ნაწევარი ახლავს, მაგ.: „ესმა მის კერძოთა მათ“, მრ. 3,21; ან კიდევ: „მო-რად-ვიდეს მეთერთმეტისა მის ჟამისანი იგი, მიიღეს თითოდ სატირი“, მ. 20,9 C. თვითული ეს სახელი ორმაგი ბრუნვებისაა: პირველი წარმოადგენს ნათესაობით-მიცემითის ფორმას, რის გამოც გვაქვს: მის (კერძოთა) მათ, მეორე—ნათესაობით-სახელობითისას, სწორედ ამიტომ არის: მის (ჟამისანი) იგი. ორივე შემთხვევაში სტილისტიკური ნოსაზრებით გამოტოვებულია (მაგრამ ივლისხმება) მეორე ნაწევრის ფარდი სახელი: პირველში ესაა ერსა, მეორეში—მოქმედნი.

B. ზედსართავი სახელები

1. ზედსართავი სახელი, როგორც წესი, მხოლოდ იმ არსებით სახელთანაა ამოწერილი, რომელსაც ის ახლავს (ღჯნოდ კეთილი). მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ესა თუ ის ზედსართავი იშვიათად იხმარება და ამის გამო მეტ ინტერესს იწვევს, ეს ზედსართავი მოყვანილია სრულ წინადადებაში.

2. ზედსართავი სახელის ერთი და იგივე ფორმა დალაგებულია იმ არსებით სახელთა ასოების რიგის მიხედვით, რომელთაც ის ახლავს (გული კეთილი, საქმც კეთილი, ღჯნოდ კეთილი).

3. როდესაც ერთ წინადადებაში გვხვდება რამდენიმე ზედსართავი სახელი, ისინი მოცემულია ერთად პირველი არსებითი სახელის ასოების რიგზე, მაგალითად: ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა (მრ. 12,30).

4. ზედსართათა (და აგრეთვე ნაცვალსახელთა) დალაგებას ხშირად ახლავს ასეთი არათანამიმდევარი დამოწმება: მოწაფეთა თჯსთა, მ. 19,10; მრ. 8,4 C; 14,12; მ. 9,37; 10,1 და სხ., ე. ი. ერთი და იმავე ფორმისათვის ჯერმათეა დამოწმებული, შემდეგ მარკოზი, ბოლოს ისევე მათე. ეს გარემოება შემდეგით აიხსნება: დამოწმებათა პირველ წყებაში სათანადო ზედსართავი თუ ნაცვალსახელი მოთხრობითს ბრუნვამა, მეორე წყების დამოწმებაში—მიცემითში, შესამისაში—ნათესაობითში.

5. ზედსართავ სახელთა (და ზმნიზედათა) ხარისხის ფორმები თავ-თავის რიგზეა ნაჩვენები, მაგ.: აღრე—ანზე, უადრეს—უნზე, დადებით ხარისხთან ყოველთვის არის მითითება მის უფროობითს ხარისხზე, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მოიპოვება ოთხთავში, მაგ.: აღრე—ნ. კიდევ უადრეს.

C. რიცხვითი სახელები

1. რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ერთ სიტყვადაა მიჩნეული და ასოთა რიგის მიხედვითაა დალაგებული. ამიტომ „ოთხმეოც და ათცხრამეტ“ (99) უფრო აღრეა ნაჩვენები, ვიდრე „ოთხმეოც და ოთხ“ (84).

2. რიგობითი რიცხვითი სახელები თავის რიგზეა დალაგებული (შეათე, მეორე, მესამე). ყოველ სათანადო რაოდენობითს რიცხვითს სახელთან არის მითითება მისგან ნაწარმოებ რიგობითს რიცხვითს სახელზე, მაგ.: ორ ნ. კიდევ მეორე, ათ ნ. კიდევ მესამე.

3. ყოველგვარი რიცხვითი სახელი მხოლოდ იმ არსებობის სახელთანაა მოცემული, რომელსაც ის ახლავს (ათორმეტი წელი, მეათე ეამი).

D. ნაცვალსახელები

1. პირის ნაცვალსახელები, როგორც წესი, მხოლოდ ზმნასთან არის წარმოდგენილი: პრქუა შახ, მოიყვანა იგი, გუესმა ჩუენ, გევედრები შენ.

2. თუ ერთი და იგივე პირის ნაცვალსახელი სხვადასხვა ხელნაწერში ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ზმნასთანაა წარმოდგენილი, ცალ-ცალკეა ნაჩვენები: გლოცავ შენ (ლ. 16,27); გევედრები შენ (იქვე C). უფრო იშვიათად C-ს ზმნა ფრჩხილებშია ხოლმე ჩასმული: გლოცავ (გევედრები C) შენ, ლ. 16,27. ასე: მოეგებოდეს შახ, ლ. 14,12; შეემთხვნეს მას, იქვე C, ან: მოეგებოდეს (შემთხვნეს C) მას, ლ. 14,12.

3. ეგვექ უნდა ითქვას კუთვნილებითი ნაცვალსახელების შესახებაც, ოღონდ ისინი არსებობის სახელთანაა ხოლმე მოცემული: ჯელით წერილი შენი, ლ. 16,7; წიგნი შენი, იქვე C, ან: ჯელით წერილი (წიგნი C) შენი, ლ. 16,7.

4. როდესაც ნაცვალსახელები ჩემი, შენი, ჩუენი, თქუენი... დამოუკიდებლად არის აღებული, ისინი პირველადაა გაშვებული, ხოლო არსებითთან ერთად ხმარებულნი—შემდეგ, ამიტომ:—„უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმაჩნეს, თქუენიცა დაიმაჩნენ“ (ი. 15,20) წინ მიღის, ხოლო „გულნი თქუენნი (მ. 6,21)— შემდეგ, თუმცა პირველი მათგანი (თქუენნიცა) ნაწილაკიანი სახელია და საერთო წესით ბოლოს უნდა ყოფილიყო.

E. თანდებულები

1. თანდებულები მხოლოდ არსებობის სახელთან არის ამოწერილი (კაცი-საგან, წინაშე მეფეთა).
2. თუ არსებითსა და თანდებულს შორის ზედსართავი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელია მოთავსებული, ისიცაა ამოწერილი: თავისა თქვენისა თანა (ი. 5,42), მამისა ჩემისათჳს.
3. როცა ერთი თანდებული ორ ან მეტ არსებობს ახლავს, ცხადია, თანდებულთან ერთად ყველა ასეთი არსებითი არას ამოწერილი: ერი მღღელთ მოძღუართაგან და მწიგნობართა და ფარისევლთა.
4. თანდებულები დალაგებულია იმ არსებით სახელთა რიგზე, რომელთაც ისინი ახლავან, მაგალითად, ჯერ: ეკალთა ჴედლა, მერმე: ერდოთა ჴედლა.
5. როდესაც არსებობს სახელთან ერთად წარმოდგენილია ჴედსართავი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი და თანდებული ამ უკანასკნელთ ახლავს, ეს თანდებული მიიწეოდა არსებით სახელის რიგის მიხედვითა დაწყობილი, მაგ.: ბოროტისაგან საუნჯისა (მ. 12,35) სანზე უნდა მოინახოს (საუნჯისა) და არა ზანზე (ბოროტისა).

E. ნაწილაკები

1. ნაწილაკები ნაჩვენებია მხოლოდ იმ სიტყვასთან, რომელსაც ის ახლავს (სახელთან, ჴმნასთან, ჴმნიზედასთან...).
2. ესა თუ ის ნაწილაკი ჯერ ჴმნებთანაა დალაგებული, მერმე—სახელებთან: არს-ლა, კაცმან-ლა.
3. ნაწილაკების ჴმნის პირიან ფორმებთან დალაგებისას ჴმნათა ფორმების თანამიმდევრობაა დაცული: ჯერ: ლალადებდესვე (უწყე.), მერმე: ლალადებდენვე (I კავშ.).
4. როდესაც ერთი და იგივე ნაწილაკი ერთ ფრაზაში ახლავს სხვადასხვა სიტყვას (სახელს, ჴმნას...), ისინი ერთადაა ამოწერილი და დაწყობილი პირველი სიტყვის რიგის მიხედვით, მაგ.: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჴკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა ჴსწამებ (ლ. 18,20). აქ ოთხივე ნუ ერთადაა მოცემული „მრუშება“-სთან. აქედან აღვილი მოსაძებნია ნუ ამ მარტივ წინადადებაში: ნუ იპარავ.
5. ლა, ცა, ჴე ნაწილაკებისათვის არაა ცალკე ამოწერილი შემდეგი სიტყვები: არლა, ვერლარა, ვერლარავენ, არლარა, ნულარა, ნულარავენ... არცა, ვერცა, ნუცა, არცალა, ვერცალა, ვითარცა... ვინმე რამე, სამე, სადამე, რომელიმე.

G. ჴმნები

ლექსიკონსა და სიმფონიაში ჴმნების (იხე როგორც საერთოდ სხვა სიტყვათა) დალაგებისას ჩუენ ვსარგებლობთ იმ პრინციპებით, რომლებიც შეიმუშავა და მოგვცა ა. შანიძემ თავის შრომებში (ხანმეტი ლექსიკონარი, 1944; გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, 1946).

1. ზმნების ფორმები მიყვანილია საწყისთან. თუ ზმნას საწყისი არ მოეპოვება, გამოსავლად აღებულია მისი ფუძე. ან ძირი, მაგ.: დაჩჩან — დაჩჩუ, იტყოდეს — ტყუ.

2. გამონაკლისს შეადგენს ისეთი ზმნები, რომელთა საწყისიც (და მიმღობანი) დაცილებულია პირიანი ფორმებისაგან, მაგ.: მოვალს, მოვიდა — მოსლვა, წარვალს, წარვიდა — წარსლვა. ასეთ შემთხვევებში ზმნის ყველა ფორმა პირიან ფორმათა ფუძესთანაა მოყვანილი. აქვეა აგრეთვე დართული საწყისი და მიმღობანი.

3. ზმნისწინიანი ზმნები თავ-თავის ადგილასაა მოყვანილი, უზმნისწინოს ადგილას კი მითითებულია ყველა ზმნისწინიანი ფორმა.

4. ჯერ პირიანი ფორმებია მოყვანილი, შემდეგ უპირობები (საწყისი, მიმღობა)!

5. პირიანი ფორმები განაწილებულია მწყკრევთა რიგის მიხედვით ასე (მაგალითი მესამე სუბ. პირის ფორმებზე):

I ხერია

1. აწმყო	წერს
2. I ხოლმ.	წერნ
3. უწყვეტილი	წერდა
4. I ბრძანებითი	წერდინ
5. უწყვ. ხოლმ.	წერდის
6. I კავშირ.	წერდეს

II ხერია

7. წვეტილი	წერა
8. II ბრძანებითი	წერენ
9. II ხოლმებითი	წერის
10. II კავშირებითი	წეროს

III ხერია

11. I თურმეობითი	უწერიეს
12. II თურმეობითი	ეწერა
13. III კავშირებითი	ეწეროს

„თვითთული მწყკრევის ფარგალში ერთ-პირიანი ზმნის ფორმები პირთა თანამდევრობით არის დალაგებული ჯერ მხოლობითში და შემდეგ მრავლობითში. ორ-პირიანსა და სამ-პირიან ზმნეზში ყურადღება პირველად სუბიექტურ პირს ექცევა და შემდეგ ობიექტურებს. თვითთული სუბიექტური პირის ფარგლებში ობიექტურები ყველა უნდა ამოიწუროს ორსავე რიცხვში. ამის მიხედვით „ხილვა“ ზმნის ფორმები, მაგ., წყვეტილში, ასე დაეწყოება: ვიხილე, ვიხილე, ვიხილენ; მიხილე, მიხილე, მიხილენ (გვხილენ), იხილენ; მი-

1 ა. შანიძე, ხანები ლექციონარი, გვ. 026.

ხილა, გიხილა, იხილა, მიხილნა (გვხილნა), გიხილნა, იხილნა. ასევეა სუბ. პირების მრავლობითშიც. ამავე წესით ეწეობა ფორმები ყველა მწკრივში, ოღონდ ჯერ ძირეული ზმნის ფორმებია მოყვანილი ყველა წარმოდგენილი მწკრივის მიხედვით და შემდეგ წარმოქმნილას. ამის გამო ჯერ აბსოლუტური ზმნაა მოყვანილი, შემდეგ რელატიური, ჯერ საარვისო და შემდეგ სათავისო და სასხვისო, ჯერ აქტივი და შემდეგ პასივი, ჯერ დინამიკური და შემდეგ სტატიკური და მისთ¹.

6. ზმნებს პირიან ფორმათა საჩვენებლად ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნები აქვს მიწერილი. ნამდვილია ეს კატეგორიები თუ მოჩვენებითი (ე. ი. მოკპოვება მათ საპირისპირო ფორმები თუ არა), აქ ეს საკითხი უყურადღებოდ არის დატოვებული; საზოგადოდ ესა თუ ის ინდექსი (ჰ, ი, ი/უ და სხვ.) მოუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ პირიანი ფორმა სათინადო ნიშნით იწარმოება; სახელდობრ:

ა—პირიანი ფორმა იწარმოება ა ხმოვით. გარდამავალ ზმნებში ეს არის საარვისო ქცევა.

ი—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვით. გარდამავალ ზმნებში ეს არის სათავისო ქცევა.

ი/უ—პირიანი ფორმა იწარმოება ი ან უ ხმოვით (ი-თი I და II ობ. პირში, უ-თი III ობიექტურ პირში). ჩვეულებრივ ეს არის სასხვისო ქცევა. გარდამავლებში ის 3-პირიანია, გარდაუვლებში კი—2-პირიანი.

ი უობ.—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვით, მაგრამ პირდ. ობიექტი არ აქვს, 1-პირიანია, თუმცა სუბიექტი ბრუნვა-ცვალებადი აქვს.

ი ვნ.—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ი ხმოვით. ფორმა 1-პირიანია:

ე—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ე ხმოვით. ფორმა 2-პირიანია².

დ (ან ნ)—ენებითი სუფიქსიანია და იწარმოება დ (ან ნ) თანხმოვნის საშუალებით. თავში ხმოვანი არ აქვს, ფორმა 1-პირიანია.

¹ იქვე.

² ამ ენიან წარმოებაში არის გავრთიანებული როგორც ტაური ენიანი ვნებითები (გმალების, ვედრების), ისე ისეთი წარმოების ფორმებიც, როგორცაა „გვლოვდა, გიცხვდა, ეძიებდა“, რომელთაც ჩვეულებრივ ვნებითათვის დამახასიათებელი არც აწმყის ებ-დაბოლოება გააჩნიათ და არც უწვევტლის ოდ-უ. შდრ. ამ ტიპის

აწმყო

უნჯაბთაღ

ვ-ე-ძი-ებ

ვ-ე-ძი-ებ-დ-(ი)

ე-ძი-ებ

ე-ძი-ებ-დ-(ი)

ე-ძი-ებ-ს

ე-ძი-ებ-და

და ენიანი ვნებითის

აწმყო

უნჯაბთაღ

ვ-ე-ვედრ-ებ-ი

ვ-ე-ვედრ-ებ-ოდ-ე

ე-ვედრ-ებ-ი

ე-ვედრ-ებ-ოდ-ე

ე-ვედრ-ებ-ი-ს

ე-ვედრ-ებ-ოდ-ა.

ა — დენებითი სუფიქსიანია (იწარმოება ღ-თი), მაგრამ მას კიდევ თავში ა ხმოვანი აქვს. ფორმა 2-პირიანია.

ბ/ჟ — სუფიქსიანი ვნებითი სახევისო ქცევის ფორმით იხმარება. ფორმა 2-პირიანია.

ეს ინდექსები მიუთითებს მხოლოდ I და II სერიის ფორმათა წარმოებაზე. III სერიის ფორმები კი გარკვეული შაბლონის მიხედვით არის ნაწარმოები.

აღნიშნული ინდექსები ზოგჯერ ახსნა-განმარტებაშიც არის ნახმარი სიტყვებისათვის. ჩვენს განმარტებაში ინდექსი მაშინაა ნაჩვენები, როცა ეს ინდექსი განსამარტავი სიტყვის ინდექსს არ მისდევს, მაგ.: დაბადება, 0—(3)ჟ [გაჩნა, ა, შექმნა]. მაგრამ როდესაც განმარტების ინდექსი იგივეა, რაც განსამარტავი ზმნისა, განმარტებაში მას არ უჭევენ, მაგ.: დაშობება, ი [ჩამოგლეჯა, ჩამოხვეა]. აქ ფრჩხილებში მოცემული ზმნები ივლისსხმება ასეთი პირადი ფორმით: ჩამოივლეჯს, ჩამოიხვეს.

პირთა რაოდენობა საქორების მიხედვით ციფრებით არის აღნიშნული:

1-პ. (ან 1)— ზმნა ერთ-პირიანია.

2-პ. (ან 2)— ზმნა ორ-პირიანია.

3-პ. (ან 3)— ზმნა სამ-პირიანია.

(2) 1— ზმნის ფორმა ორ-პირიანია, მაგრამ შინაარსი ერთი პირისა აქვს მხოლოდ.

ჰ 2)— ზმნის ფორმა სამ-პირიანია, მაგრამ შინაარსი ორი პირისა აქვს მხოლოდ.

სხვა ნიშნები

რ. წყ. — ზმნა იხმარება ობიექტური წყობით.

უპარდ. — უპირდაპიროდ (ე. ი. ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა).

უარ. — უირობოდ (ე. ი. ზმნას ირობი ობიექტი არ ეწყობა).

უაბ. — უობიექტოდ (ე. ი. ზმნას არ ეწყობა ობიექტი, პირდაპირი თუ ცრინა).

სტატ. — სტატიკური ვნებითი.

7. ზემოთ თქმულს უნდა დაემატოს შემდეგიც. ა. შანიძისეე რჩევით შექმნილი გვაქვს ნიშანი 0 (ნული) იმ ზმნათათვის, რომელთა პირიანი ფორმა თავში რაიმე ხმოვანს არ მიიღებს (წერს, კლავს). დასასრულ, ისეთი ტიპის ზმნათათვის, როგორცაა მეფობს—იმეფა, შემოღებულთა ნიშანი ~: მეფობა, 0~e, რაც ნიშნავს, რომ I სერიის მწკრივებში (მეფობს, მეფობნ, მეფობდა, მეფობდნ, მეფობდის, მეფობდეს) ზმნას არაფითარი ნიშანი არ აქვს პირის ნიშანსა და უფროს დისაწყისს შორის, ხოლო სხვა მწკრივებში მას ენაცვლება ი ნიშნიანი ფორმები. (იმეფა, იმეფოს და სხ.). ინდექსის შემდეგ პირთა რაოდენობის მაჩვენებელი ციფრი უზის მხოლოდ ანიან და ნულიან ზმნებს, რადგანაც ესენი შეიქმნება იყვენენ ერთ-პირიანიც (ზის, ტირს, დაადგრების), ორ-პირიანიც (წერს; კლავს, განტეხს... აღაშენებს, აღაგებს, აყენებს) და სამპირიანიც (მოპყურის,

¹ ა. შანიძე, ზ. მთაწმიდლის ვნა იოვანეს და ეფთვიშეს ცხოვრების მიხედვით, 1946, გვ. 82—83.

მისწერს, მოსთხოვს... მიართუას, მიაგებს, ახუდრებს). ამიტომ ამ ციფრების გარეშე არ გვეცოდინებოდა, თუ რამდენ-პირიანია აღნიშნული ფორმა. ამის მიხედვით გვექნება: ზი, ტირ, 0—1; წერა, კლვა, განტება, 0—2; აღშენება, აღგება, დაყენება, ა—2; მოგურა, მიწერა, მოთხოვა, 0—3; მირთუმა, მიგება, ხუდრება, ა—3.

მიწერილი აქვს პირთა რაოდენობის მაჩვენებელი ციფრი (2) აგრეთვე სასხვისო ქცევის ფორმებს გარდაუვალ ზმნებში, მაგ.: დაშთომა, ი/უ—2: „არა დაუშთა მას შვილი“. გარდამაველ ზმნებში კი ამ ინდექსთან ჩვეულებრივად არაა აღნიშნული ზმნის პირთა რაოდენობა, რადგანაც ისედაც იგულისხმება, რომ ფორმა სამ-პირიანია.

როც შეეხება სხვა ნიშნებს, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არაა, მათ არ უნდა პირთა რაოდენობის აღნიშვნა, რადგანაც ისინი ჩვეულებრივ პირების განსაზღვრულ რაოდენობას გვიჩვენებენ (ნ. ზემოთ).

როცა განსაკუთრებული შემთხვევაა, ე. ი. ზემოთ აღნიშნული წესი დარღვეულია და ზმნა პირთა სხვა რაოდენობას გვიჩვენებს, ვიდრე მოსალოდნელია წესით, ასეთ ზმნათა პირის რაოდენობა ყოველთვის მითითებულია ხოლმე.

8. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (კოპულა) მხოლოდ შემასმენლის სახელადს ნაწილთანაა მოყვანილი: „ბოროტ იყოს“ (მ. 6, 23).

ასევე ვიქცევით აგრეთვე მესამე სერიის ერთპირიანი ზმნების აღწერილობითი ფორმებისა და მათი მსგავსი წარმოების (აწმყოდან) ჩვენებისასაც: წარსრულ იყვნეს, მოსრულ არიან.

9. თანხმოვანდაკარგული ზმნისწინი ფრჩხილებში გვაქვს ნაჩვენები: აღმალლა (ამალ. C).

10. პირის ნიშანთა სხვაობაც ფრჩხილებშია მითითებული: ჰხედავა (ხ. C), გამომსცლიდა (გამოსც. E), მოჰქირიდეს (მოჰჰ. E) და სხვ.

11. ტმესიანი ზმნების მავალითები სათანადო ფორმებთანაა მოქცეული, ოღონდ მათ შემდეგ, მაგ.: გარდამოვიდოდა, გარდამო-რაგ-ვიდოდა.

12. თხრობითი და ბრძანებითი კილოს მსგავსი ფორმები (როცა ზმნის თემა ხმოვნით იწყება) ცალ-ცალკე გვაქვს ნაჩვენები თავ-თავის მწყკრივში, მაგ.: იხილგ (წყვ., თხრ.) და იხილგ (ბრძ.). სხვა შემთხვევაში (როცა ზმნის თემა თანხმოვნით იწყება) ისინი გარჩეული არიან ფორმალურადაც: დასწერგ (წყვ., თხრ.) და დაწერგ (ბრძ.), მიხუედ (წყვ., თხრ.) და მივედ (ბრძ.).

13. გამოთქმა „და იყო...“ უწინადადებოდ არის მოყვანილი.

14. საწყისი და მიმღეობა, როგორც აღენიშნეთ, პირიან ფორმებთანაა მოყვანილი, მათ შემდეგ. ჯერ საწყისია მოცემული, შემდეგ მიმღეობა. მიმღეობებში ჯერ მოქმედებითი გვარისა, შემდეგ ვნებითისა. თვით ვნებითებში ადრე სუფიქსიანი ფორმებია ნაჩვენები (ულ-იანი, ილ-იანი), შემდეგ პრეფიქსიანი (საცსენებელად).

15. ისეთი საწყისები და მიმღეობანი, რომელთაც ტერმინის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული და არსებობთად არის ქცეული, ცალკე გვაქვს

გამოტანილი, თავისი ასოების რიგზე, მაგ.: სამოსელი (ს-ზეა და არა მ-ზე მოსასთან), მკუდარი (მ-ზე და არა კ-ზე). ამგვარადევა ცალკე გამოტანილი: სამკუდარებელი, სარგებელი, სარტყელი, სასუმელი, ლოცვა, ცოდვა და მრავალი სხვა.

IV. სიტყვების განმარტებისათვის

1. სიმფონია-ლექსიკონში განმარტებულია მხოლოდ ის სიტყვები, რომელთაც დღეს ვერ გაიგებდა ჩვეულებრივი მკითხველი, ძველ ქართულ ენაში სპეციალურად მოუწადინებელი. ასეთია ის სიტყვები, რომლებიც დღეს ან სრულებით არ იხმარება (მაგ.: ამრენაკი, ირდაგი, აღმოქუმა, აღმსობა, აღხუმა, ბალანტი, ბალარჯობა, ბლუარი, გუადრუცი, გუალე, განრღვეული, კუელი, მკელობელი, ტავარი, უბრკემა, უტევანი, ცისად-ცისად გუგუელი და სხ.), ანდა იხმარება, მაგრამ სხვა მნიშვნელობით (აზნაური, ალაგი, ასპარეზი, აღმღერება, მკამელი, შესმენა, ცხედარი და სხ.). ოთხთავის ყველა სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა სპეციალური მონოგრაფიის დაწერას საჭიროებს, რასაც მკითხველი, იმედი გვაქვს, აქ არ მოგვთხოვს.

2. სიტყვების განმარტებისას მძიმით გამოვყოფთ სიტყვებს, რომლებიც დაახლოებით ერთნაირად გადმოგვცემენ განსამარტავი სიტყვის მნიშვნელობას, მაგ.: **განცოცხლება** [გაჯანსაღება, მორჩენა]. წერტილმძიმით გამოვყოფთ სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობას, მაგ.: **ბასრობა** [დაცინვა; გმობა]. თუ განსამარტავ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ის ცალკეა გატანილი, ახალი ნომრით, მაგ.: 1. **განგება** [შეკეთება, გასწორება, გამართვა] და 2. **განგება** [ანგარიშის გასწორება].

3. ზმნების განმარტება უშუალოდ მოსდევს საწყისის ფორმას. ეს განმარტება საზოგადოდ საწყისსაც ეხება და პირიან ფორმებსაც.

4. როდესაც ზმნას მრავალი მნიშვნელობა აქვს, თავში, საწყისთან, ყველა მნიშვნელობა არაა მოცემული, მაგრამ ქვევით, პირიან ფორმებთან ე- მნიშვნელობანი განმარტებულია, მაგ.: **აღძრვა** [აღშფოთება, შეძრა, აღელვება]. **აღძრა** [დაიძრა, წამოვიდა]. არის შემთხვევები, როცა საწყისთან სულ არ არის მოცემული განმარტება (საწყისი ისედაც ნათელია), მაგრამ ზმნის ზოგი პირიანი ფორმა წიოთხოვს ახსნას და განმარტებაც აქვს ვადმოტანილი, მაგ.: **აღღება**: **აღღებ** [გახსნეს], **აღღებთ** [ღებულობთ] და სხ.

5. სიტყვის მნიშვნელობის უფრო ზუსტად დადგენისათვის ზოგჯერ მივმართავდით ბერძნული ღედნისა და სომხური ვერსიის შესატყვისებს; ვიშველიებდით აგრეთვე რუსულ ენასაც.

6. სიტყვების განმარტებაზე მუშაობისას გამოყენებული გვაქვს შემდეგი ლექსიკონები:

სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გამოც. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928.

დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.

ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის. ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, ლექსიკონი: ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმისი, 1946, გვ. 81—161.

ილია აბულაძე, მარტვლობაა შუშანიკისი, 1938, ლექსიკონი, გვ. 91—99.
 ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და
 ლიტერატურა, ლექსიკონი, შედგ. ილ. აბულაძის მიერ, I (1934) და X
 (1948) გამოცემა.

ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I 1946, შედგენილი
 ს. ყუბანეიშვილის მიერ (ლექსიკონი მ. ქაბაშვილისა).

Н. Я. Марр, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам
 евангелия Марка, С-Петербург, 1913.

ბ. შარის გამოცემულ ტექტებს დართული რუსული თარგმანი და სი-
 ტყუების ახსნა: ТР, кн. VI (1904), VII (1911).

Библейский словарь. Труд и издание А. Верховского, 1871.

Греческо-русский словарь, составленный А. Д. Вейсманом. Изд
 четвертое, 1894.

Иллюстрированная полная популярная библейская энциклопедия.
 Труд и издание архимандрита Никифора, т. т. I—IV (1891—1892).

Малов, Краткий священный словарь, 1835.

Walter Bauer, Griechisch-deutsches Wörterbuch zu den Schrif-
 ten des Neuen Testaments und der übrigen urchristlichen Literatur. Dritte
 Auflage. Berlin, 1937.

Griechisch-deutsches Wörterbuch zum Neuen Testamente von Dr. Hein-
 rich Ebeling: Dritte Auflage. Hannover, 1929.

V. სხვადასხვა ფორმის შემსახბე

აქ გვსურს ზმნის ზოგიერთი ისეთი ფორმის შესახებ ჩამოვაგდოთ საუ-
 ბარი, რომლებიც შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული და, მაშასა-
 დამე, ამის მიხედვით სიმფონიის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდეს. ასეთებია:

1. იბანნიან, განიბანნიან. ორივე ეს ფორმა შეიძლება გაგებულ იქნეს
 როგორც ვნებითი: იბანნიან, განიბანნიან იგინი. მეორე მხრივ, ეგვეე ფორმები
 მოქმედებითსაც აქვს სათავისო ქცევაში: იბანნიან, განიბანნიან მათ იგინი
 (ველნი, ფერკნი). კონტექსტი, სადაც ეს ფორმები გვხვდება, ისეთია, რომ უფ-
 რო მოქმედებითი იგულისხმება: „უბანთაგან რაა შევიდიან, უკუეთუ არა იბან-
 ნიან, არა კამიან“ (მრ. 7,4), ან: „და სავაქროთ-და შევლინელ, ვიღრე არა
 განიბანნიან, არა კამიან“ (იქვე C.) აქ მთელი სხეულის განბანა კი არ იგული-
 სხმება (=განიბანნიან), არამედ ხელისა (=განიბანენ ხელებს). ამას იდასტუ-
 რებს აგრეთვე წინა მუხლიც: „ფარისეველთა და ყოველთა პურიათა უკუეთუ
 არა იდაუთგან დაიბანნიან ველნი, არა კამიან“ (მრ. 7,3), ან: ფარისეველთა
 უსსწუთ თუ არა დაიბანნიან ველნი, არა კამიან პური“ (იქვე C.) აქ, ცხადია,
 ზმნა მოქმედებითი გვარისაა და მისი პრეფიქსული ო სათავისო ქცევის ნიშა-
 ნია. სხვანაირად არ შეიძლება გაგებულ იქნეს მსგავსი ფორმა მომდევნო მუხლები:
 იბანნიან და განიბანნიან. პირდაპირი ობიექტის (ველნი) არ მოხსენება სტი-

ლისტიკური მოსაზრებით უნდა იყოს გამოწვეული. მაშასადამე, საცილობელი ფორმები ასეთი ინდექსით უნდა დაიწეროს: ბანა, ი; განბანა, ო¹.

2. დაშოეკილა. ეს ფორმა შეიძლება ორგაირად გაეიგოს: მოქმედებითად და ვნებითად. თუ ის მოქმედებითაა, მწკრივი II თურმეობითი იქნება, ხოლო თუ ვნებითაა, — წყვეტილი. კონტექსტი გვიჩვენებს, რომ აქ უფრო აქტიური უნდა გვეჩვენოს, მაგ.: „უადვილესმცა იყო, ქვაჲ ფქვისაჲ დაშოეკილა ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა ზღუასა“ (ლ. 17,2 C). ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს შიგავის ადგილის ჩვენება მათეს სახარებიდან, სადაც იკითხება: „უშჯობეს არს მისა, დაშო-თუ-იკიდოს ფქვილი ერთი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულთა ზღუსათა“ (მ. 18,6). აქ ამ მზნასთან II კავშირებითში პირდაპირი ობიექტიც გვაქვს, ესაა ფქვილი (=საფქველი ლოდი). მაშასადამე, ფორმა მოქმედებითაა. ამის გამო მისი ანალოგონი დაშოეკილა-ც მოქმედებითაა, ამიტომ მისი ინდექსი იქნება ი (სათავისო ქტევის ნიშანი).

3. გეტჯრთა. ასევე მოქმედებითი გვარისაა და, მაშასადამე, II თურმეობითში ადგას გეტჯრთა (მ. 11,28 CD), მისი აწმყოა იტჯრთავს. ოთხთავში ხშირია ამნაირი წარმოების ფორმები: „რომელმან გიტჯრთა შენ“ (ლ. 11,27), „რომელთა გიტჯრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხმ“ (მ. 20,12), „მან უძლურებანი ჩუენნი იტჯრთნეს“ (მ. 8,17 E), მაგრამ არ მოიპოვება მისი ვნებითური ვარიანტი: ეტჯრთების, ეტჯრთა, ეტჯრთოს, ამიტომ ამ ზმნის ინდექსი იქნება ი (და არა ე).

